

შპს „ზიმ ინტეგრირითილ შიფინგ სერვისის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული და ამ
თარიღით დამთავრებული წლისთვის და მასზე გაცემული
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	16
4. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები	17
5. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	20
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20
7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	20
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
9. განთავსებული კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება	21
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21
11. შემოსავალი	22
12. გაწეული მომსახურების ღირებულება	22
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
14. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	22
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	23
16. ფინანსური რისკების მართვა	23
18. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	26
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ზიმ ინტეგრირირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზიმ ინტეგრირირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია“-ს (შემდგომში, ტექსტში კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ, 6-28 გვერდებზე)

თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხონულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 5 მარტი

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.


ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 5 მარტი

თბილისი, საქართველო



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		53,209	52,462
აქტივის გამოყენების უფლება	5	51,080	77,536
არამატერიალური აქტივები		3,399	3,289
სულ გრძელვადიანი აქტივები		107,688	133,287
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6	203,923	660,996
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	7	20,226	6,566
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	2,050,178	4,138,311
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,274,327	4,805,873
სულ აქტივები		2,382,015	4,939,160
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	9	166,077	166,077
გაუნაწილებელი მოგება		1,866,481	3,222,015
სულ კაპიტალი		2,032,558	3,388,092
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	5	39,479	61,049
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		39,479	61,049
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	288,408	1,463,604
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი	5	21,570	26,415
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		309,978	1,490,019
სულ ვალდებულებები		349,457	1,551,068
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,382,015	4,939,160

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	11	8,606,952	17,770,647
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(4,159,095)	(8,250,639)
საერთო მოგება		4,447,857	9,520,008
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(951,276)	(831,668)
საოპერაციო მოგება		3,496,581	8,688,340
ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	14	168,841	349,485
მოგება კურსთა შორისი სხვაობიდან, (ნეტო)		24,147	8,624
სხვა ზარალი (ნეტო)		(1,674)	(9,789)
მოგება დაბეგვრამდე		3,687,895	9,036,660
მოგების გადასახადის ხარჯი		(369,833)	(747,511)
მიმდინარე წლის მოგება		3,318,062	8,289,149
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება		3,318,062	8,289,149

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
 გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	3,687,895	9,036,660
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	39,227	34,439
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალი, წმინდა	(24,147)	(8,624)
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	(168,841)	(349,485)
სხვა ზარალი (წმინდა)	1,674	9,789
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	31,852	12,257
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე	3,567,660	8,735,036
კლება/ (ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	425,221	214,605
საგადასახადო აქტივები	(6,236)	2,305
გადახდილი ავანსები	(7,424)	(4,535)
ზრდა/ (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,149,840)	(3,460,430)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	2,829,381	5,486,981
გადახდილი მოგების გადასახადი	(369,833)	(747,511)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა	(11,887)	(15,501)
მიღებული პროცენტი	180,728	372,843
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	2,628,389	5,096,812
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(13,775)	(32,198)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,775)	(32,198)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(4,671,471)	(9,395,000)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(26,415)	(22,990)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,697,886)	(9,417,990)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა კლება (ნეტო)	(2,083,272)	(4,353,376)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	4,138,311	8,553,091
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(4,861)	(61,404)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	2,050,178	4,138,311

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	166,077	4,327,865	4,493,942
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება	-	8,289,149	8,289,149
გამოცხადებული დივიდენდი	-	(9,394,999)	(9,394,999)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	166,077	3,222,015	3,388,092
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	166,077	3,222,015	3,388,092
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება	-	3,318,062	3,318,062
გამოცხადებული დივიდენდი	-	(4,673,596)	(4,673,596)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	166,077	1,866,481	2,032,558

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი,
 გენერალური დირექტორი

ნირ ავნი,
 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ზიმ ინთერგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		53,209	52,462
აქტივის გამოყენების უფლება	5	51,080	77,536
არამატერიალური აქტივები		3,399	3,289
სულ გრძელვადიანი აქტივები		107,688	133,287
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6	203,923	660,996
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	7	20,226	6,566
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	2,050,178	4,138,311
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,274,327	4,805,873
სულ აქტივები		2,382,015	4,939,160
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	9	166,077	166,077
გაუნაწილებელი მოგება		1,866,481	3,222,015
სულ კაპიტალი		2,032,558	3,388,092
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	5	39,479	61,049
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		39,479	61,049
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	288,408	1,463,604
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი	5	21,570	26,415
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		309,978	1,490,019
სულ ვალდებულებები		349,457	1,551,068
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,382,015	4,939,160

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ კერვალიშვილი
გენერალური დირექტორი




ნირ ავნი,
სამეთვალყურეთ საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ზიმ ინტეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	11	8,606,952	17,770,647
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(4,159,095)	(8,250,639)
საერთო მოგება		4,447,857	9,520,008
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(951,276)	(831,668)
საოპერაციო მოგება		3,496,581	8,688,340
ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	14	168,841	349,485
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან, (ნეტო)		24,147	8,624
სხვა ზარალი (ნეტო)		(1,674)	(9,789)
მოგება დაზღვრამდე		3,687,895	9,036,660
მოგების გადასახადის ხარჯი		(369,833)	(747,511)
მიმდინარე წლის მოგება		3,318,062	8,289,149
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება		3,318,062	8,289,149

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი
გენერალური დირექტორი




ნირ ავნი,
სამეთვალყურეთ საბჭოს თავმჯდომარე



შპს „ზიმ ინთერგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე		
კორექტირებები:	3,687,895	9,036,660
ცვეთა და ამორტიზაცია	39,227	34,439
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალი, წმინდა	(24,147)	(8,624)
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	(168,841)	(349,485)
სხვა ზარალი (წმინდა)	1,674	9,789
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	31,852	12,257
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე	3,567,660	8,735,036
კლება/ (ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	425,221	214,605
საგადასახადო აქტივები	(6,236)	2,305
გადახდილი ავანსები	(7,424)	(4,535)
ზრდა/ (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,149,840)	(3,460,430)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	2,829,381	5,486,981
გადახდილი მოგების გადასახადი	(369,833)	(747,511)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა	(11,887)	(15,501)
მიღებული პროცენტი	180,728	372,843
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	2,628,389	5,096,812
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(13,775)	(32,198)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,775)	(32,198)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(4,671,471)	(9,395,000)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(26,415)	(22,990)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,697,886)	(9,417,990)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა კლება (ნეტო)	(2,083,272)	(4,353,376)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	4,138,311	8,553,091
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(4,861)	(61,404)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	2,050,178	4,138,311

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კერვალიშვილი

თეიმურაზ კერვალიშვილი
გენერალური დირექტორი



ნირ ავნი
ნირ ავნი,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ზიმ ინტეგრირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	166,077	4,327,865	4,493,942
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება	-	8,289,149	8,289,149
გამოცხადებული დივიდენდი	-	(9,394,999)	(9,394,999)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	166,077	3,222,015	3,388,092
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	166,077	3,222,015	3,388,092
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება	-	3,318,062	3,318,062
გამოცხადებული დივიდენდი	-	(4,673,596)	(4,673,596)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	166,077	1,866,481	2,032,558

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 5 მარტს, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ კერვალიშვილი
გენერალური დირექტორი




ნირ ავნი,
სამეთვალყურეობის ხაზის თავმჯდომარე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზიმ ინტეგრირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2007 წელს, საქართველოში, ქ. თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ტელეგრაფის ჩიხი #4. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204536555. კომპანიის გენერალური დირექტორია თეიმურაზ კერვალიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვის მომსახურება საქართველოში და საქართველოს გარეთ, საზღვაო და სახმელეთო გზებით.

2024 და 2023 წლებში კომპანიას ჰქონდა 1 სათაო ოფისი ქ. თბილისში და 1 ფილიალი ქ. ფოთში.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის მფლობელების შესახებ მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა ოდენობა არის 12 და 11 ადამიანი, შესაბამისად.

შპს „ზიმ ინტეგრირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია“ არის შპს „ზიმ ინტეგრირებული შიფინგ სერვისის“ (შემდგომში - მშობელი კომპანია) აგენტი და მშობელი კომპანიისგან იღებს საკომისიო შემოსავლებს ტვირთის გადაზიდვის მომსახურებისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.2. წარდგენის ვალუტა

ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.3. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI)

დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

2.4. შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვენამდე.

2.5. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-3 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-6 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანია

შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზღაურებები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

2.6. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.7. ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება - ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

2.8. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან “ჩათვლილი ღირებულებით” ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შეძენილი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
მანქანა-დანადგარები	7
საოფისე აღჭურვილობა	3,4,5

2.10. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი..

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3, 5 წლის გაანგარიშებით.

2.11. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.13. განთავსებული კაპიტალი

კომპანიის ნებადართული განთავსებული კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები განთავსებულ კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელი გადაწყვეტილებით.

2.14. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მერე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.16. სავაჭრო დებიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.17. უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვა-ბე-ბით განპირობებული შემოსულობა ან ზა-რა-ლი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი და 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023: 1 აშშ დოლარი და 1 ევრო = 2.9753 ლარი).

2.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

2.19. დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება პარტნიორთა საერთო კრებაზე.

2.20. იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

2.21. შემოსავლის აღიარება

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომხმარებლებისთვის ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურების მიწოდებიდან. ასევე, კომპანია იღებს საკომისიო შემოსავალს მშობელი კომპანიისგან, როგორც აგენტის საკომისიო, ტვირთის გადაზიდვის ოპერაციების მომსახურებისას.

ამონაგები ტვირთის საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვის მომსახურებიდან აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მომსახურება შესრულდება. ამონაგები სატერმინალო მომსახურებიდან და სახმელეთო გადაზიდვებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, ხოლო დანარჩენი შემოსავლის სახეობები კი დროის გარკვეულ მომენტში.

კომპანიას არ გააჩნია ხელმოწერილი ხელშეკრულებები მომხმარებლებთან, მაგრამ ამის ნაცვლად ყველა სახის პირობას კლიენტებთან ათანხმებენ ინვოისების მეშვეობით. ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე ყველა შესრულებული სამუშაოსთვის და კომპანია მათ შესაბამისად აღიარებს ამონაგებს.

კონტროლის გადაცემის მომენტის გამოსავლენად, კომპანია იყენებს შემდეგ მსჯელობას: მას შემდეგ რაც მომხმარებელმა მიიღო მომსახურება, კომპანიას არ გააჩნია დამატებითი ვალდებულება, აქვს გადახდის მოთხოვნის უფლება და არ იტოვებს რაიმე არსებით რისკს.

კომპანია არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, რადგანაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები.

2.22. სახელფასო ხარჯები

ანაზღაურება, ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.23. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

საექვო ვალების რეზერვი

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 6).

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები -

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარედ ან არამიმდინარედ ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარედ და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე, იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2024 წლის იანვარი	დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)
2024 წლის აპრილი	დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)
2024 წლის აპრილი	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

მოცემული ახალი მოთხოვნები შემუშავებული იქნება ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამოწვევების, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (მაღაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).
ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას.
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (მაღაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).
მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

5. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ორ საოფისე ფართს - ქ. თბილისსა და ქ. ფოთში. საოფისე ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში. კომპანიამ იქირავა ახალი ოფისი თბილისში 2022 წლის შუა პერიოდში. იჯარის დარჩენილი ვადა არის 2-4.5 წელი. ზღვრული საპროცენტო განაკვეთი იჯარებისთვის არის წლიური 12.28%-15.92% და დამოკიდებული იჯარის ვადასა და ვალუტაზე.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	104,357
ცვეთა	(26,821)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,536
ცვეთა	(26,456)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51,080

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,681
საპროცენტო ხარჯი	15,501
იჯარის გადახდა	(38,718)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	87,464
საპროცენტო ხარჯი	11,887
იჯარის გადახდა	(38,302)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	61,049

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	258,766	683,987
საექვო ვალების რეზერვი	(54,843)	(22,991)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	203,923	660,996

გაუფასურების რეზერვის ზრდა

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	22,991	10,734
ცვლილება წლის განმავლობაში	31,852	12,257
31 დეკემბრის მდგომარეობით	54,843	22,991

7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	11,959	4,535
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8,267	2,031
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	20,226	6,566

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,376,233	2,197,541
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	673,945	1,940,770
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,050,178	4,138,311

2024 და 2023 წლების მანძილზე, ბანკში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი შეადგენს 180,728 ლარი და 372,843 ლარს, შესაბამისად.

9. განთავსებული კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 166,077 ლარს, შესაბამისად.

კომპანიას ჰყავს შემდეგი მფლობელები:

	31.12.2024 %	31.12.2023 %
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“	51%	51%
შპს „პეის ჯორჯია“	49%	49%
ჯამი	100%	100%

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“ წარმოადგენს კომპანიის დედა კომპანიას ორივე საანგარიშო პერიოდისთვის.

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი 2024 და 2023 წლებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შპს „პეის ჯორჯია“	2,471,280	4,969,830
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“	2,202,316	4,425,169
ზიმ-ის დივიდენდთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადი	369,833	747,511
ჯამი	5,043,429	10,142,510

2024 და 2023 წლებში გადახდილ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იყო 370,152 ლარი და 747,511 ლარი, შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კორპორატიული მოგების გადასახადის გადახდა გადავადდება წმინდა მოგების განაწილების თარიღამდე. კორპორატიული მოგების გადასახადის განაკვეთია 15%, ტექნიკურად, დაანგარიშების კუთხით, დასაბეგრ თანხას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. კორპორატიული მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდის გაცემის მომენტში, ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ (როგორც იურიდიულ, ისე, ფიზიკურ) პირებზე.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	193,657	1,378,632
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	92,626	84,972
გადასხდელი დივიდენდები	2,125	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	288,408	1,463,604

11. შემოსავალი

	2024	2023
სატერმინალო მომსახურება	6,113,856	12,594,468
აგენტის მომსახურების საფასური	490,225	1,145,392
კონტეინერის შენახვა	485,197	1,306,313
კონტეინერის გატანის საფასური	431,217	1,038,024
სახმელეთო გადაზიდვები	425,273	299,970
დოკუმენტური მომსახურება	277,063	580,979
დაცლილი კონტეინერის დათვალიერების საფასური	109,130	265,234
საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის საშუალო ტვირთის საფასური	23,828	176,641
სხვა	251,163	363,626
სულ შემოსავალი	8,606,952	17,770,647

12. გაწეული მომსახურების ღირებულება

	2024	2023
ფოთის საზღვაო ნავსადგურის ხარჯები	2,873,709	5,991,169
სატერმინალო ხარჯები	876,864	2,004,529
სახმელეთო და სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯი	408,522	254,941
სულ გაწეული მომსახურების ღირებულება	4,159,095	8,250,639

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალის ხარჯი	716,305	679,757
ოფისის ხარჯები	51,253	1,867
ცვეთა და ამორტიზაცია	39,227	34,439
აუდიტი და კონსულტაცია	29,833	22,697
დაზღვევა	29,170	34,393
ბანკის გადასახადი	4,013	1,958
სხვა	81,475	56,557
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	951,276	831,668

*2024 და 2023 წლების პერსონალის ხარჯის მოიცავს სერვის კონტრაქტით დაქირავებულ თანამშრომლებზე დარიცხულ და გადახდილ ანაზღაურებას 34,300 ლარით და 35,145 ლარით, შესაბამისად.

14. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	180,728	372,843
საპროცენტო ხარჯი (ფინანსური იჯარა)	(11,887)	(15,501)
საპროცენტო ხარჯი (გარანტიები)	-	(7,857)
სულ ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	168,841	349,485

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოს დაცვითი საკითხები - საქართველოს გარემოსდაცვითი რეგულაციების ვითარდება და სახელმწიფო ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადახედვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში საკუთარ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები დგინდება, ისინი დაუყოვნებლივ აღიარება ხდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული რეგულაციების ცვლილების, სამოქალაქო სამართლებრივი დავების ან კანონმდებლობის შედეგად, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში არსებული აღსრულების პირობებში, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი ზიანის გამო მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ არსებობს.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	203,923	660,996
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,050,178	4,138,311
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	2,254,101	4,799,307

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწებულაბაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მცირე რაოდენობის დებიტორების გამო მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ, ცხრილებში:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიმდინა -რე	61-120 დღემდე	121-180 დღემდე	181-360 დღემდე	> 360	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	185,305	301	26,338	23,434	23,388	258,766
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,050,178	-	-	-	-	2,050,178
სულ ფინანსური აქტივები	2,235,483	301	26,338	23,434	23,388	2,308,944
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	1,852	30	13,169	16,404	23,388	54,843
სულ ნეტო ფინანსური აქტივები	2,233,631	271	13,169	7,030	-	2,254,101

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიმდინა -რე	61-120 დღემდე	121-180 დღემდე	181-360 დღემდე	> 360	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	658,668	4,164	8,169	3,610	9,376	683,987
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,138,311	-	-	-	-	4,138,311
სულ ფინანსური აქტივები	4,796,979	4,164	8,169	3,610	9,376	4,822,298
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	6,587	417	4,084	2,527	9,376	22,991
სულ ნეტო ფინანსური აქტივები	4,790,392	3,747	4,085	1,083	-	4,799,307

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2024			31.12.2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია
ლარში	1,575,001	85,693	1,489,308	2,857,298	466,834	2,390,464
აშშ დოლარი	679,100	171,138	507,962	1,942,009	999,262	942,747
სულ	2,254,101	256,831	1,997,270	4,799,307	1,466,096	3,333,211

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები აქციებსა და არაფულად აქტივებში არ ითვლება რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკად.

	31.12.2024		31.12.2023	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	101,592	-	188,549	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(101,592)	-	(188,549)	-

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის პროცენტური აქტივები მოიცავს საბანკო ვადიან დეპოზიტებს. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა დამატებითი საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და გამოთვალა საშუალო შეწონილი განაკვეთი, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი სესხის აღება დამოუკიდებელი კრედიტორისგან შესადარისი ვადებითა და პირობებით.

კომპანიის არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი დეპოზიტების განთავსების, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯოხია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	193,657	-	193,657
საიჯარო ვალდებულებები	29,760	44,640	74,400
სულ მომავალში გადასახდელები	223,417	44,640	268,057

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,378,632	-	1,378,632
საიჯარო ვალდებულებები	38,302	74,400	112,702
სულ მომავალში გადასახდელები	1,416,934	74,400	1,491,334

კაპიტალის მართვა - კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, ალბულის სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით. 2024 წლის განმავლობაში, კაპიტალის მართვის მიდგომასთან დაკავშირებით ცვლილებები არ მომხდარა.

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

18. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები); რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		
- სავაჭრო მოთხოვნები	203,923	660,996
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,050,178	4,138,311
სულ ფინანსური აქტივები	2,254,101	4,799,307

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული

ფინანსური ვალდებულებები

- სავაჭრო ვალდებულებები	193,657	1,378,632
- გადასახდელი დივიდენდები	2,125	-
- საიჯარო ვალდებულებები	61,049	87,464
სულ ფინანსური ვალდებულებები	256,831	1,466,096

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებელ კომპანიასა და მის ფილიალებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი დამფუძნებლის საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთები, შეიძლება, წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

ნაშთის სახეობა	ურთიერთ დაკავშირებულობის ფორმა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		184,332	1,325,357
შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	17,351	193,163
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ სერვისი“	მფლობელი	164,250	999,262
შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	2,731	15,222
შპს „პეის საზღვაო სააგენტო“	სხვა დაკავშირებული მხარე	-	117,710
საიჯარო ვალდებულება		61,049	87,464
შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	61,049	87,464

შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

ოპერაციის სახეობა	ურთიერთ დაკავშირებულობის ფორმა	2024	2023
შემოსავალი		1,235,215	1,618,306
შპს „ზიმ ინთეგრეტიდ შიფინგ სერვისის“	მფლობელი	1,230,564	1,618,306
გაწეული მომსახურება		3,566,284	8,114,629
ხარჯი (გაქვითული შემოსავალთან)		(2,335,719)	(6,496,323)
შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	4,651	-
მომსახურების თვითღირებულება		1,897,748	5,090,690
შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	1,463,177	2,545,029
შპს „პეის ტრანსი“	სხვა დაკავშირებული მხარე	365,500	188,975
შპს „პეის საზღვაო სააგენტო“	სხვა დაკავშირებული მხარე	69,071	2,356,686
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები		34,253	-
შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	34,253	-
ფინანსური ხარჯები (ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი)		11,887	15,501
შპს „პეის ჯორჯია“	მფლობელი	11,887	15,501
		2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო		320,109	281,139

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 5 მარტს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.